საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

18/12/2024

MES 4 24 0001626927

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (240 კრედიტიანი) სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^{8}-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს შუამდგომლობა და ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 15 თებერვლამდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1614340 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ.

თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ